(2008)

<u>განცხადება</u> ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ნატო-ს შტაბ-ბინაში

ბრიუსელი, 2008 წლის 19 აგვისტო

ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს საგანგებო მინისტერიალზე, 2008 წლის 19 აგვისტოს გამოთქმულ იქნა შეშფოთება საქართველოში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით და განხილულ იქნა არსებული რეალობის გავლენა ევრო-ატლანტიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. საქართველოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი და გრძელვადიანი გადაწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სამართლითა და გაეროს რეზოლუციებით აღიარებულ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების სრულ დაცვას. ჩვენ ვწუხვართ ყველა დაღუპულის, სამოქალაქო მსხვერპლისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურისადმი კონფლიქტის შედეგად მიყენებული ზიანის გამო. ჩვენ მხარს ვუჭერთ ჰუმანიტარული დახმარების ძალისხმევას. ჩვენ შევხვდით ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ალექსანდრ სტუბს იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად, რომლებიც მისი აზრით საჭიროებდა ყურადღებას.

ჩვენ მივესალმებით ევროკავშირის, ეუთოსა და აშშ-ს დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად საქართველოსა და რუსეთის მიერ მიღწეულ და ხელმოწერილ შეთანხმებას საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის შესახებ. ჩვენ სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ ამ ძალისხმევას. ჩვენ ხაზგასმით ავღნიშნავთ შეთანხმების სწრაფად, სრულად და კეთილსინდისიერად შესრულების აუცილებლობას, შეთანხმებების შესრულებაზე საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის ჩათვლით.

საბრძოლო მოქმედებები საბოლოოდ უნდა შეწყდეს და შეიარაღებული ძალები უნდა დაუბრუნდნენ იმ პოზიციებს, რომლებიც მათ ეკავათ ამ მოქმედებების დაწყებამდე. სრული სახით უნდა გაიმართოს საერთაშორისო დისკუსიები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის უშიშროებისა და სტაბილურობის მოდელების განსახილველად. ეკონომიკური საქმიანობა, საერთაშორისო ავია და საზღვაო მიმოსვლის ჩათვლით, არ უნდა იყოს შეფერხებული საქართველოში.

ჩვენს ღრმა შეშფოთებას იწვევს ჰუმანიტარული სიტუაცია. მოკავშირე მთავრობები თანამშრომლობენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წარმომადგენლებთან რათა უზრუნველყოფილ იყოს, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულმა სამოქალაქო მოსახლეობამ მიიღოს ის დახმარება, რაც მათ სჭირდებათ გადაუდებელი და მიმდინარე ჰუმანიტარული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მხარეს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, უზრუნველყონ დაზარალებული მოსახლეობისათვის საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ხელმისაწვდომობა.

ჩვენ დღეს ასევე მივაღწიეთ შეთანხმებას დავეხმაროთ საქართველოს, მისი თხოვნის შესაბამისად, მთელ რიგ სფეროებში. ამის გარდა, ჩვენ შევთანხმდით დავავალოთ ჩრდილო ატლანტიკურ საბჭოს მუდმივმოქმედ სესიაზე სწრაფად შეიმუშავოს საქართველოსთან ნატო-საქართველოს კომისიის მოდალობები. კომისია გაუწევს ზედამხედველობას ბუქარესტში დაწყებულ პროცესს, დღევანდელ შეხვედრაზე შეთანხმებული მხარდამჭერი ზომების ჩათვლით.

ეს ზომები გათვლილია საქართველოს, ნატოს ფასეული და დიდი ხნის მეგობრის, დასახმარებლად, რათა შემოწმდეს ის ზიანი, რომელიც მოაყენა ქვეყანას საომარმა მოქმედებებმა და დახმარება იქნას გაწეული უმნიშვნელოვანესი მომსახურების აღდგენაში, რაც წარმოადგენს აუცილებლობას ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკური საქმიანობის აღსადგენად. საქართველოს აღორძინება, უსაფრთხოება და სტაბილურობა მნიშვნელოვანია ალიანსისათვის. ნატო განაგრძობს საქართველოსთან თანამშრომლობას პარტნიორობა მშვიდობისათვის და ნატოსთან საქართველოს პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ფორმატში და აგრეთვე განიხილავს საქართველოს ნებისმიერ სხვა თხოვნას დახმარებისათვის. ჩვენ

აგრეთვე მივესალმეთ იმ ფაქტს, რომ მთელ რიგ ჩვენს წევრ ქვეყნებში მთავრობამ გამოთქვა აქტიური დახმარების სურვილი საქართველოს ეკონომიკური რეკონსტრუქციის ხელშესაწყობად.

კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ჩვენ ვწუხვართ საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტში ძალის გამოყენების გამო. ჩვენ კვლავაც ვიმეორებთ, რომ არ არსებობს მოუგვარებელი კონფლიქტების სამხედრო გზით გადაწყვეტის პერსპექტივა. ჩვენ შევახსენებთ მხარეებს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება წარმოადგენს პარტნიორობა მშვიდობისათვის ჩარჩო დოკუმენტის ძირითად პრინციპს.

ჩვენ გამოვთქვამთ შეშფოთებას კრიზისის დროს რუსეთის ქმედებების გამო და შევახსენებთ რუსეთს მის პასუხისმგებლობას უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნებაზე იმ ტერიტორიაზე, სადაც ის ახორციელებს კონტროლს, განსაკუთრებით იმ რეგულარული შეტყობინებების გათვალისწინებით, რომლებშიც საუბარია რუსეთის მხრიდან ინფრასტრუქტურის განზრახ განადგურებაზე. რუსეთის სამხედრო ქმდებების არაპროპორციულია და არ შეესატყვისება მის მშვიდობისმყოფელის როლს, ისევე როგორც არ შეესაბამება ჰელსინკის საბოლოო აქტით გათვალისწინებულ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგავრების პრინციპებს, ნატო-რუსეთის ფუძემდებლურ დოკუმენტსა და რომის დეკლარაციას. მოვუწოდებთ რუსეთს მიიღოს ზომები თავისი ჯარების იმ ტერიტორიიდან გასაყვანად, რომლებიც მათ უნდა დატოვონ პრეზიდენტ სააკაშვილისა და პრეზიდენტ მედვედევის მიერ ხელმოწერილი ექვს პუნქტიანი შეთანხმების შესაბამისად. ალიანსი სერიოზულად განიხილავს რუსეთის ქმედებების შესაძლო გავლენას ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე. 2002 წელს ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ნატო-რუსეთის საბჭო, რუსეთთან ურთიერთობების ფორმატი, მათ შორის იმ საკითხებზე, რომლებზეც ალიანსსა და რუსეთს განსხვავებული ხედვა აქვთ. ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ ვერ ვაწარმოებთ ჩვეულ თანამშრომლობას. მოვუწოდებთ მოსკოვს, რათა მან მოახდინოს დემონსტრირება_ როგორც სიტყვით, ასევე საქმით _ იმ პრინციპების ერთგულების, რომლებზეც ჩვენ შევთანხმდით დავაფუძნოთ ჩვენი ურთიერთობა.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ მხარდაჭერას იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოებისა და მთავრობების ხელმძღვანელებმა მიიღეს 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე, მათ შორის საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების შესახებ და ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ ინტენსიურ თანამშრომლობას საქართველოსთან დეკემბერში მის მიერ გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებაზე განაცხადთან დაკავშირებით არსებული კითხვების თაობაზე და გავითვალისწინებთ მოვლენთა განვითარებას დროის იმ პერიოდისათვის.
(www.nato.int)